საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №2
2018 წლის 17 იანვარი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №515 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 2 აგვისტოს №515 ბრძანებით (სსმ, №96, 04/08/2010, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.026.014932) დამტკიცებულ წესდებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და წესდების:

1. მე-3 მუხლს დაემატოს „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

„ლ) სასწავლო პროცესის დაგეგმარებისა და მონიტორინგის განყოფილება;

მ) ვირტუალური სიმულატორების სწავლების განყოფილება.“.

2. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დირექცია შედგება დირექტორის, მისი მოადგილის/მოადგილეების, ბუღალტერიის, მთავარი სერჟანტისა და იურისტისაგან.“.

3. მე-7 მუხლის შემდეგ დაემატოს 7^1 და 7^2 მუხლები შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7^1. მთავარი სერჟანტი

მთავარი სერჟანტი უზრუნველყოფს:

ა) ლიცეუმში დისციპლინის და წესრიგის განმტკიცებას;

ბ) ლიცეუმში დასაქმებული სერჟანტების მუშაობის პროცესის ხელშეწყობას;

გ) კომპეტენციის ფარგლებში ლიცეუმის უსაფრთხოების წესების დაცვის ხელშეწყობას;

დ) დირექტორის ბრძანებებისა და მითითების შესრულებას.

მუხლი 7^2. ლიცეუმის იურისტი

ლიცეუმის იურისტი ახორციელებს:

ა) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი აქტების შესაბამისად ლიცეუმის სამართლებრივ უზრუნველყოფას;

ბ) ლიცეუმის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებასა და ვიზირებას;

გ) ლიცეუმში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობას;

დ) ლიცეუმის მოსამსახურეთათვის სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა/კოორდინაციას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.”.

4. მე-16 მუხლის შემდეგ დაემატოს 16^1 და 16^2 მუხლები შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16^1. სასწავლო დაგეგმარებისა და მონიტორინგის განყოფილება

სასწავლო დაგეგმარებისა და მონიტორინგის განყოფილება უზრუნველყოფს:

ა) ლიცეუმის სასწავლო პროცესის დაგეგმვას, შესრულებასა და მონიტორინგს;

ბ) სასწავლო პროცესში გამოვლენილი პრობლემების კვლევასა და ანალიზს.

მუხლი 16^2. ვირტუალური სიმულატორების სწავლების განყოფილება

ვირტუალური სიმულატორების სწავლების განყოფილება უზრუნველყოფს:

ა) დაწყებითი სამხედრო მომზადების შესწავლას სიმულაციური სისტემების გამოყენებით;

ბ) თეორიულ-პრაქტიკული ამოცანებისა და კომბინირებული საბრძოლო შეიარაღების დაუფლებას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ლევან იზორია**